KA015516127793216

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სიტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე

№510/ს **21** / ივლისი / **2016** წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის N85-ე ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის დებულების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 04/12/2015 წლის N2997/ს ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში (თბილისი; ქუთაისი; ბათუმი; ზუგდიდი; რუსთავი; მარნეული; გორი; ახალციხე; თელავი; გურჯაანი; ფოთი; ოზურგეთი; ყვარელი; თიანეთი; ყაზბეგი; ბორჯომი; ლაგოდეხი) არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემა ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) თვის ვადით.
2. სსიპ - იუსტიციის სახლის (შემდგომში - იუსტიციის სახლი) ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემის საწყისი თვიური საფასური განისაზღვროს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 100 (ასი) ლარით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადა 10 (ათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს უფლების გაცემის ვადას.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 21 ივლისს და გაგრძელდეს 5 (ხუთი) დღის ვადით.
5. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართის შესაბამისად.
6. იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემის პირობები განისაზღვროს აღმასრულებელი დირექტორის 2015 წლის 04 დეკემბრის N2997/ს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცებული „სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესის“ შესაბამისად.
7. აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2016 წლის 04 აგვისტოს.
8. დაევალოს იუსტიციის სახლის მომსახურების განვითარებისა და გაყიდვების სამსახურს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.
9. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი გივი აზაურაშვილი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი